

საქართველოს კანონი

მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი I: საქართველოს კანონში მაუწყებლობის შესახებ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №5, 18.01.2005, მუხ.19) შეტანილ იქნას შემდეგი დამატება.

„მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 56-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 5¹ პუნქტი:

5¹. იკრძალება არასრულწლოვანთა კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

25 დეკემბერი 2008 წელი